დამტკიცებულია :

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის“ დირექტორის

ბრძანებით # 15 06/03/2020 წელი

სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის ”

პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1.მიზნი

1. ამ წესის მიზანია სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის'' პერსონალური მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოფილი იქნას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

მუხლი 2.პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები საფუძვლები და წესი

2.1 სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარში'' დასაქმებულის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პრინციპები:

- მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად ,მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეულახავად.
- მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული ,მკაფიოდ განსაზღვრული ,კანონიერი მიზნებისთვის .დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.
- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი ,საჭიროების შემთხვევაში უნდა განახლდეს.
- კანონიერი საფუძველის გარეშე და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს.

2.2. სსიპ კოლეჯ ,,ოპიზარის'' დასაქმებულის /პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება იმ შემთხვევაში თუ :

ა) არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა - პირის ნებაყოფლობითი, ინფორმირებული და მკაფიოდ გამოხატული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე(დასაქმებული ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას) ;

ბ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;

გ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა კოლეჯის/მონაცემთა სუბიექტის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად ;

დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად - მაგალითად თუ საგანგებო სიტუაციის დროს ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და მის გადასარჩენად აუცილებელია ადგილმდებარეობის დადგენა;

ე) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კოლეჯის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

ვ) კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა - მაგალითად, სოციალურ ქსელში თქვენს მიერ საჯაროდ განთავსებული ფოტო ან საკონტაქტო ინფორმაცია;

ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად - მაგალითად დანაშაულის პრევენცია, საკუთრების ან არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით;

თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად ან მისთვის მომსახურების გასაწევად.

2.3. კოლეჯში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან იმ შემთხვევებში, როცა:

ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;

გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;

დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;

2.4. იმ შემთხვევაში როდესაც მონაცემთა შეგროვება ხორციელდება უშალოდ მონაცემთა სუბიექტისგან კოლეჯის თანამშრომელი რომელიც ახორციელებს მონაცემთა შეგროვებას ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა)მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი;

ბ)მონაცემთა დამუშავების მიზანი;

გ)სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;

დ)მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე , მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

2.5თუ მონაცემთა შეგროვება არ ხორციელდება უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან, მონაცემთა დამმუშავებელი კოლეჯის თანამშრმელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია.

2.6კოლჯის თანამშრმელი რომელიც ახორციელებს პერსონალური ინფორმაციის შეგროვებას მონაცემთა სუბიექტისგან ვალდებულია ,განუმარტოს რომ მონაცემთა სუბიექტს ნებისმიერ დროს ,განმარტების გარეშე უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს მის მიერ მოცემულ თანხმობაზე მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება.

მუხლი 3. დამუშვებულ პესრონალურ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა

3.1 კოლეჯი როგორც მონაცემთა დამმუშავებელი უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან , შეცვლისაგან , გამჟღავნებისაგან , მოპოვებისაგან , ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

3.2კოლეჯის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე , მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს პერსონალური ინფორმაცია .

მუხლი 4. კოლეჯის მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

4.1.კოლეჯი როგორც მონაცემთა დამუშავებელი უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში შემდეგი ინფორმაციის მოწოდებას:

ა) მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი;

გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები;

ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

4.2.კოლეჯი მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა , ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი.

მუხლი 5.პერსონალური მონაცემების დამუშავება ვიდეო მეთვალყურეობის კამერით

5.1.კოლეჯში ვიდეოთვალთვლის განხორციელება მიმდინარეობს დანაშაულის თავიდან აცილების აგრეთვე პირის უსაფრთხოების და საკუთრების საზოგადეობრივი წესრიგისა და არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვის მიზნებისთვის **.**

5.2.დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში.

5.3 კოლეჯი როგორც მონაცემთა დამუშავებელი უზრუნველყოფს ვიდეოთვალთვალის სისტემის და ვიდეოჩანაწერების დაცულობას არამართზომიერი გამოყენებისგან.

5.4 კოლეჯის თანამშრომლები რომლებსაც აქვთ წვდმა ვიდეოსათვალთვალო სისტემასთან და ვიდეოჩანაწერებთან ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე არ გადასცეს მესამე პირებს პერსონალური ინფორმაცია .

5.5.კოლეჯის ყველა თანამშრომელი /პროფესიული სტუდენტი /მსმენლი ინფორმირებულია ვიდეოთვალთვალის განხორცილების და მათი უფლებების შესახებ.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებანი

6.1. ამ წესს ინდივიდუალურ -ადმინსტრაციულ სამართლებრივი აქტით(ბრძანებით) ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.
6.2. ამ წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინსტრაციულ სამართლებრივი აქტით(ბრძანებით) .
.